ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 11

ქ. ლანჩხუთი **21.12.2024 წელი**

11:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ვერიკო კვირკველია, ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, დარეჯან ბურჭულაძე, რეზო კვერენჩხილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ტარდება ამ წლის ბოლო სხდომა. მან მადლობა გადაუხადა კომისიის ყველა წევრს და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის წარმომადგენლებს მეგობრობისთვის, ურთიერთობისთვის და გაწეული შრომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** და განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, განხილვის შედეგად ბიუჯეტის პროექტში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები კერძოდ; მუნიციპალიტეტის 2025 წლის განახლებული ბიუჯეტის პროექტის ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1934100 ლარით, ხოლო ცალკეულ ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა 328300 ლარით, ანუ ბიუჯეტი ხარჯვით ნაწილში გაიზარდა 1605800 ლარით. დამატებით აღებული ვალდებულებების დაფინანსებისათვის ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზი გაიზარდა 1328300 ლარით, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმის 1058300 ლარით, მიზნობრივი ტრანსფერის 270000 ლარით ზრდის ხარჯზე, ასევე ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის მიმართვა ხარჯებზე გაიზარდა 277500 ლარით. განახლებულ ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილ წინადადებებიდან გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები: - ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის, ავტო სალაროს და ბავშვთა გასართობი სკვერის მოწყობა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი, (პროექტის სავარაუდო ღირებულება 3377900 ლარი). - სპეცტექნიკის შეძენა (კალათა) 250000 ლარი. - სოციალური პროგრამები დამატებით გაიზარდა 64100 ლარით; მათ შორის სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 15000 ლარი; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 40000 ლარი, ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებით დამატების უზრუნველყოფის პროგრამა 3600 ლარი, დღის ცენტრის იავნანას დაფინანსება 3000 ლარი. - გეოგრაფიული ობიექტების მიმანიშნებელი აბრების დამზადება 15000 ლარი. - მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდა 10000 ლარით. - წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებზე მიიმართება 350000 ლარი. - შესაბამის სტრუქტურებთან კონსულტაციის საფუძველზე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა 270000 ლარით. (მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯზე). ღონისძიებები რომელიც ვერ იქნა ასახული განახლებულ ბიუჯეტში პროექტში საკითხები მოითხოვს დამატებით გაანალიზებას და მისი დაფინანსების რესურსების მოძიებას.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი დაინტერესდა ამწეკრანის სიმაღლე რამდენია და გამოდგება თუ არა კორპუსებთან სამუშაოდ, რაზეც როლანდ ლაშხიამ გააკეთა განმარტება, რომ ძირითადი აქცენტი იყო გადატანილი, რათა შეეძინათ ისეთი კალათა, რომელიც თავისი ტექნიკური პარამეტრებით მოემსახურება ნებისმიერ მთაგორიან ზონას, რაც სავარაუდოდ კორპუსებზეც გამოდგება.

კარლო კვიტაიშვილი აგრეთვე დაინტერესდა, რამდენი ლარით ეზრდებათ ფინანსური სარგო სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებს. როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ ჯერ-ჯერობით საკითხთან დაკავშირებით სიტყვიერის გარდა, არანაირი ნორმატიული მასალა არ არსებობს, თუმცა იყო საუბარი 125 ლარიან მატებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, მოხდება გადაანგარიშება და პირველი კვარტლის პერიოდში აღნიშნული საკითხი იქნება დაზუსტებული.

კომისიის წევრმა, ვერიკო კვირკველიამ ისაუბრა შშმ პირთა შესახებ და აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტში მათი ადაპტაციის კუთხით არაფერი არ არის გათვალისწინებული. მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ წინა წელს ჰქონდა რამდენიმე პროექტი მომზადებული აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ არ მოხდა არც ერთის გათვალისწინება. მისი თქმით, მოთხოვნა უნდა იყოს კატეგორიული, რომ მერიის შენობა იყოს ადაპტირებული. აგრეთვე, მნიშვნელოვანია 2 ლოკაციაზე მაინც მოეწყოს ადაპტირებული შუქნიშანი და მოწესრიგდეს ავტომობილების პარკირების პრობლემა, რომ მათი ვალდებულებაა შშმ პირებს შესთავაზონ სხვადასხვა სერვისები, რადგანაც ისინი ჩვენი სოციუმის წევრები არიან.

კომისიის წევრი, დარეჯან ბურჭულაძე დაინტერესდა, სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინება მოხდა თუ არა ბიუჯეტში, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ შევიდა გარკვეული ცვლილებები, კერძოთ: ცელიაკიის თანხა გაიზარდა 100 ლარით, ქირავნობის პროგრამა გაიზარდა 50 ლარით, უჯრედის მორფოლოგიური კვლევა განისაზღვრა 50 %-იანი თანადაფინანსებით, იავნანას თანადაფინანსებაში შევიდა ცვლილება, თავშესაფარში მოხდა 50 ლარიანი ზრდა და უპატრონო მიცვალებულთა მომსახურების თანხა გაორმაგდა.

კომისიის წევრი ლოლიტა ურუშაძე დაინტერესდა რა ხდება პროექტთან დაკავშირებით, რაც პრეპარატ „ავასტინის“ დაფინანსებას შეეხება, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტის მერია ვერ გაითვალისწინებს აღნიშნულ პროექტს იქიდან გამომდინარე, რომ მედიკამენტების შესყიდვა არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმდინარე წლის 20 სექტემბრის GOV82400026297 წერილი, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს N12 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გამოვლენილ ხარვეზებს. დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით

უზრუნველყოფის წესი არ ვრცელდება პირზე, თუ მას აქვს საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობისა თუ სარგებლობის უფლება სხვა საცხოვრებელ/ არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე; მოცემული ჩანაწერი საკრებულოს მხრიდან საჭიროებს დამატებით მსჯელობას, ვინაიდან შესაძლებელია პირს გააჩნდეს უძრავი ქონება (მაგ: არასაცხოვრებელი ფართი/მიწის ნაკვეთი), თუმცა მისი საცხოვრებლად გამოყენება შეუძლებელია, ან მისი რეალიზაციიდან მიღებული თანხა არ არის საკმარისი საცხოვრებლის დასაქირავებლად. ამასთან დანართის მე-2 მუხლში, სადაც გაწერილია სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებები, შესაძლებელია დამატებით მიეთითოს, რომ თუ პირს უფიქსირდება უძრავ ნივთზე (არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე და ა.შ) მართლზომიერი მფლობელობისა და სარგებლობის უფლება, სამუშაო ჯგუფს აქვს უფლებამოსილება შეაფასოს ფაქტობრივი მდგომარეობა და განსაზღვროს უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის იქნება თუ არა საკმარისი. მუნიციპალიტეტის მერია ვერ გაიზიარებს ზემოაღნიშნულ პოზიციას კერძოდ: თუ ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ სამუშაო ჯგუფმა განიხილოს ისეთი კატეგორიის განცხადებებიც, როცა დაინტერესებულ პირს უფიქსირდება არასაცხოვრებელი ფართი/მიწის ნაკვეთი და განხილვის შედეგად შეაფასოს ფაქტობრივი მდგომარეობა და განსაზღვროს უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის ან საცხოვრებლის დასაქირავებლად იქნება თუ არა საკმარისი, აღნიშნული ჩანაწერით ფაქტობრივად ქონების რეალიზების (არასაცხოვრებელი ფართი/მიწის ნაკვეთი) არჩევანის წინაშე ვაყენებთ მოქალაქეს, რაც მათ ინტერესებს დააზიანებს და ფაქტობრივად კომისიის მიერ უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის იქნება თუ არა საკმარისი არ გადაწყვეტს ამ მოქალაქეების პრობლემას დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. შესაძლოა რეალიზებიდან მიღებული თანხით დროებით იქირაოს საცხოვრებელი ფართი, მაგრამ თანხის ამოწურვის შემდეგ დარჩეს როგორც საცხოვრებელი, ისე არასაცხოვრებელი ფართის/მიწის ნაკვეთის გარეშე და კვლავ მერიის დასახმარებელი აღმოჩნდეს გაუარესებული პირობებით. ასევე, დანართის მე-2 მუხლში მიზანშეწონილია დაზუსტდეს მერიის თანამდებობის პირი, რომელიც სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის სტატუსს შეითავსებს. მიგვაჩნია რომ იმ თანამდებობის პირის წესში დაკონკრეტება, რომელიც სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის სტატუსს შეითავსებს, არ წარმოადგენს აუცილებლობას, ვინაიდან წესი მარეგულირებელი ნორმაა და საკითხი უფრო მარტივად და პრაქტიკულად დარეგულირებადია მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით, რასაც ითვალისწინებს კიდეც დანართის მე-2 მუხლის პირველი-მეოთხე პუნქტები. აქვე, ხსენებული მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები იდენტურია და ერთ-ერთი ამოღებულ უნდა იქნეს ტექსტიდან. საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამავე წესის მე -13 და 14 პუნქტებით გათვალისწინებულია: „13. სამუშაო ჯგუფის მიერ თითოეულ განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება (დაკმაყოფილება, უარი) უნდა იყოს დასაბუთებული, რაც აისახება ოქმში.“ „14. ოქმს ხელს აწერენ ჯგუფის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;“ რაც არ არის იდენტური და არც ერთი არ არის ამოსაღები ტექსტიდან. დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის შინაარსი აუცილებელია შესაბამისობაში მოვიდეს ამავე დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმად ოჯახის სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 200 000-ს. ამდენად, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-დან 200 000-მდე – 4 ქულა.“ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ ვინაიდან დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ეს წესი არ ვრცელდება ოჯახზე, რომლის სარეიტინგო ქულა 200 000 და მეტია. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი

კი არეგულირებს ოჯახის შეფასებას სამუშაო ჯგუფის მიერ და ერთ-ერთი კრიტერიუმია სარეიტინგო ქულა 100 001-ზე მეტი. ორივე ჩანაწერის შინაარსი თავისთავად გამორიცხავს 200 000 სარეიტინგო ქულაზე მეტის მქონე ოჯახზე წესის გავრცელებას. დანართის მე-5 მუხლი საჭიროებს დამატებით მსჯელობას და იმ შემთხვევის გათვალისწინებას, როცა პირს გაუფორმდა ხელშეკრულება და მიენიჭა თავშესაფრით სარგებლობის უფლება, თუმცა ის ამ უფლებით არ სარგებლობს (მართებულია მიეთითოს კონკრეტული ვადა, მაგ. „არ ისარგებლებს თავშესაფრით 30 დღის განმავლობაში...“). საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამავე დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „1. საცხოვრისით სარგებლობის მინიმალური ვადა განისაზღვრება ხუთი წლით, ხოლო შემდგომი ვადა დამოკიდებულია მონიტორინგის შედეგებზე, ხელშეკრულებით გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ნაკისრი ვალდებულებებისა და პირობების შესრულებასა და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის განახლებული მონაცემების გათვალისწინებით (სარეიტინგო ქულა).“ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დროებით საცხოვრებლით მოსარგებლე პირთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ორმხრივი უფლებები და ვალდებულებები. ამდენად, როცა პირს გაუფორმდება ხელშეკრულება და მიენიჭა თავშესაფრით სარგებლობის უფლება ხელშეკრულების პირობებში იქნება გაწერილი კონკრეტული ვადა მათ შორის თავშესაფრით არ სარგებლობის შემთხვევაში რა ვადაში შესაძლოა შეუწყდეს ხელშეკრულება.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

თამარ ფირცხალაიშვილმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ესაუბრა მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელს და თხოვა მათ დაეზუსტებინათ, თუ რა პრინციპით ეხელმძღვანელათ შეფასების კრიტერიუმის ფორმულირების დროს და შეეთავაზებინათ ჩვენს მუნიციპალიტეტზე პრაქტიკულად მორგებული პირობები, მაგრამ მთავრობის ადმინისტრაციამ საკითხთან დაკავშირებით მათ ვერ მიაწოდა პრაქტიკული რჩევა და მიუთითეს, რომ შეეძლოთ არ გაეზიარებინათ შენიშვნები.

ვერიკო კვირკველიას აზრით, არის შემთხვევები, როდესაც ოჯახს გააჩნია არასაცხოვრებელი ფართი, რომლის თვითღირებულება ძალიან მცირეა. ასევე შესაძლოა, ოჯახს ქონება გააჩნდეს ისეთ ადგილას, რომლითაც სარგებლობა ფაქტობრივად შეუძლებელია გარემო პირობების გამო. ზემო აღნიშნულის შესწავლის გარეშე უგულებელყოფა გამოიწვევს ოჯახის დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებას და მისთვის დაუსაბუთებლად უარის თქმას, რადგან ოჯახს არ აქვს თავშესაფარი და გააჩნია ისეთი მფლობელობა, რომელიც მისთვის ამ კუთხით გამოუსადეგარია. სწორედ ამიტომ, თუ პირს უფიქსირდება მიწის ნაკვეთი სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეაფასოს ფაქტობრივი მდგომარეობა და განსაზღვროს უძრავი ქონების

რეალიზაციიდან მიღებული თანხა საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის იქნება თუ არა საკმარისი.

აგრეთვე, სასურველია მე-5 მუხლის თანახმად ბენეფიციართა მონიტორინგი განხორციელდეს 1 წელში ერთხელ.

საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია დააფიქსირა კომისიის ყველა წევრმა და ერთხმად აღნიშნეს, რომ ისინი არ ეთანხმებიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას და სრულიად იზიარებენ მთავრობის ადმინისტრაციიდან მოსულ შენიშვნებს, რომ მათი ვალია იზრუნონ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის და არა პირიქით, ჩიხში შეიყვანონ ხალხი.

კომისიის წევრმა ვერიკო კვირკველიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები კიდევ იმსჯელებენ საკითხთან დაკავშირებით და მერიის სოციალურ სამსახურს წერილობით მიაწოდებენ ზუსტ ფორმულირებას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 0; წინააღმდეგი 6.

სხვადასხვა საკითხები.

ლოლიტა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სავარგულების თითქმის 80 % არ არის დამუშავებული და მისი აზრით, თუ 3 წლის განმავლობაში ზედიზედ მიწის ნაკვეთის დამუშავება არ მოხდება, მესაკუთრეს ასეთი ნაკვეთი უნდა ჩამოართვას სახელმწიფომ. აგრეთვე, მისი აზრით, სოციალური პროგრამებით მოტივაციის ჩაკვლა ხდება ხალხში და ბენეფიციარები ცდილობენ თავის არიდებას კონკრეტულ საკითხებზე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №11 სხდომის დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **21.12.2024 წ.**

2024 წლის 21 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

18.12.2024 წელი
16:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	15 55	[signature]
2. ნინო მშვიდობაძე	16:00	[signature]
3. დარეჯან ბურჭულაძე	16:00	[signature]
4. ლოლიტა ურუშაძე	16 00	[signature]
5. კარლო წილოსანი	შვებულებაში	[signature]
6. ირმა მგელაძე	არ ესწრებოდა	[signature]
7. მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	[signature]
8. გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	[signature]
9. რევაზ კვერენჩხილაძე	16 00	[signature]
10. ელისო ჭიჭინაძე	არ ესწრებოდა	[signature]
11. ვერიკო კვირკველია	16	[signature]